TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N156 ოქმით

სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. თსა უზრუნველყოფს უსაფრთხო, ჯანსაღ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს შემდეგი ღირებულებების დამკვიდრებას და დაცვას დაწესებულებაში:

გამოხატვის თავისუფლება - სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოხატონ საკუთარი აზრი იმგვარად, რომ არ შეილახოს სხვა პირ(ებ)ის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა - დაწესებულებაში აკრძალულია სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისადმი არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი სახის განსხვავებულობის გამო - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი, წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

კონფიდენციალურობა - სტუდენტის მიერ პედაგოგიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენის და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

თანასწორობა - თსა დაწესებულებაში იცავს თანასწორობის პრინციპს. სტუდენტები თანასწორნი არიან მიუხედავად ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. ისინი თანაბრად სარგებლობენ დაწესებულების მიერ მინიჭებული უფლებებით.

აკადემიური თავისუფლება - თსა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სწავლის და კვლევის დამოუკიდებლად განახორციელების უფლებით სარგებლობას.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა - თსა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კომპეტენციის შესაბამისად.

პირადი პასუხისმგებლობა და თანაბარი ანგარიშვალდებულება - სტუდენტები მათ მიერ განხორციელებული ქმედებისთვის პასუხს აგებენ პირადად და თანასწორად, ასევე, თანაბარ პირობებში სარგებლობენ უფლებების დაცვის იმ მექანიზმებით, რომლებიც არსებობს დაწესებულებაში.

სამართლიანი პროცესის უფლება - თსა უზრუნველყოფს სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების სამართლიანად, თანაბარ პირობებში წარმართვის პროცესს.

თავი I. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 1. სტუდენტის უფლებები

თსა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შემდეგი უფლებებით სარგებლობას:

1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება;

1.2 მიიღოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;

1.3 კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, კონფერენციებში, კულტურულ, სოციალურ და სხვა სახის ღონისძიებებში, გაცვლით პროგრამებში;

1.4 თანაბარ პირობებში ისარგებლოს თსა-ს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, ლაბორატორიული და სხვა რესურსებით და სერვისებით;

1.5 თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ გაერთიანებებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

1.6 თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

1.7 პერიოდულად შეაფასოს პედაგოგიური პერსონალი და საგანმანათლებლო პროცესი;

1.8 საქართველოს კანონმდებლობით და თსა-ს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მიიღოს ფინანსური წახალისება, ან მატერიალური დახმარება ან/და სხვა სახის შეღავათები.

1.9 ისარგებლოს მობილობის უფლებით;

1.10 მონაწილეობა მიიღოს თსა-ში ჩატარებულ გამოკითხვებში;

1.11 სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, თსა-ში არსებობს საჩივრის/პრეტენზიის წარდგენის მექანიზმი, რომელიც შესაძლებელია ეხებოდეს პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის, კოლეგიური და მართვის ორგანოების და სტუდენტური გაერთიანებების საქმიანობას.

1.11.1 საჩივრის/პრეტენზიის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით.

1.11.2 საჩივარი/პრეტენზია არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა განსახილველად წარედგინება შესაბამის თანამდებობის პირს/ორგანოს. თანამდებობის პირი/ორგანო საჩივრის/პრეტენზიის განხილვიდან არაუმეტეს ხუთი სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას ან განსახილველად გადასცემს შესაბამის თანამდებობის პირს/ორგანოს.

1.11.3 განხილვის პროცესში ჩართულ(ებ)ი არიან საჩივრის/პრეტენზიის ადრესატ(ებ)ი.

1.11.4 მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი სახით ეცნობება საჩივრის/პრეტენზიის ავტორს.

1.11.5 იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის/პრეტენზიის განმხილველი თანამდებობის პირი/ორგანო მიიჩნევს, რომ საკითხის შესახებ უნდა დაიწყოს დისციპლინური წარმოება, ყველა შესაბამისი დოკუმენტი გადაეცემა პროფესიული ქცევის კომიტეტს განსახილველად. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება თსა-ს ქცევის კოდექსით.

1.11.6 მხარე უფლებამოსილია მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.12 თსა-ში მოქმედებს გამოცდის შედეგის/მიმდინარე შეფასების გასაჩივრების მექანიზმები. გამოცდის შედეგის გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურები რეგულირდება თსა-ს „საგამოცდო ცენტრის დებულებით“.მოსთხოვოს თსა-ს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ, რა მიზნით და რა საფუძვლით;

1.13 დაიცვას აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებისგან, მათ შორის, მოსთხოვოს თსა-ს პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, არ გაამჟღავნონ ინფორმაცია აკადემიური მოსწრების თაობაზე მესამე პირებთან.

1.14 ისარგებლოს თსა-ს მიერ მინიჭებული აკადემიური თავისუფლებით;

1.15 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და თსა-ს მიერ მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები;

მუხლი 2. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია:

2.1 პატივი სცეს საკუთარი და სხვა ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

2.2 არ დაუშვას დისკრიმინაცია ან არატოლერანტული დამოკიდებულება სხვა ადამიანების მიმართ.

2.3 პატივი სცეს თსა-ს სახელს და საქმიან რეპუტაციას, გაუფრთხილდეს თსა-ს ქონებას.

2.4 პატივი სცეს სხვა სტუდენტების სწავლის უფლებას და სასწავლო პროცესის ხელშეუხებლობას.

2.5 თსა-ს მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;

2.6 სისტემატურად გაეცნოს თსა-ს ვებგვერდს, სადაც ხორციელდება მარეგულირებელი დოკუმენტების (ცვლილების შემთხვევაში - მათი განახლებული ვერსიების) და სიახლეების პერიოდული განთავსება;

2.7 განუხრელად დაიცვას თსა-ს დებულება, ქცევის კოდექსი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

თავი II. დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი

მუხლი 3. დისციპლინური წარმოების განხორციელება

3.1 დისციპლინური წარმოების განხორციელება ხდება თსა-ს ქცევის კოდექსის შესაბამისად, პროფესიული ქცევის კომიტეტის მიერ.

3.2 დისციპლინური წარმოება ხორციელდება დისციპლინური გადაცდომის პროპორციულად, სამართლიანი პროცედურის გზით.

3.3 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

3.3.1 თსა-სგან მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

3.3.2 დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით;

3.3.3 მიაწოდოს თსა-ს პროფესიული ქცევის კომიტეტს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

3.3.4 მონაწილეობა მიიღოს თსა-ს პროფესიული ქცევის კომიტეტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

3.3.5 მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე;

3.3.6 სასამართლოში გაასაჩივროს თსა-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

3.4 დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულების გამოკვლევა ხორციელდება პროფესიული ქცევის კომიტეტის მიერ.

თავი III. დოკუმენტის ძალაში შესვლა და ცვლილება-დამატებების შეტანა

მუხლი 4. დოკუმენტის ძალაში შესვლისა და ცვლილება-დამატებების შეტანის წესი

4.1 წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის რექტორის საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

4.2 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილება-დამატებების შეტანა ხორციელდება მისი დამტკიცების წესით.